სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...“

# ოდიში

1991
სამშაბათი
10
დეკემბერი
№ 132 (10 5 225)
ფასი 5 კაპ.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურისა და საკრებულოს ორგანო

საქართველოს რესპუბლიკის

## კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა რაოდენობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვროს 201-ით.

2. შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შემდეგი ცვლილება:

105-ე მუხლში რიცხვი „250“ შეიცვალოს რიცხვით „201“.

3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 18 აგვისტოს კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„უზენაეს საბჭოში აირჩევა 201 დეპუტატი ხუთი წლის ვადით. მათგან 120 აირჩევა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში, ხოლო 81 პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე სრულიად საქართველოს პარტიული სიების მიხედვით“;

2. მე-16 მუხლში რიცხვი „125“ შეიცვალოს რიცხვით „120“;

3. 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„სიაში კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს ოთხმოცდაერთზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს ორას ერთს“.

4. მე-40 მუხლის მე-3 ნაწილში სიტყვები „ას ოცდახუთ კანდიდატზე“ შეიცვალოს სიტყვებით „ოთხმოცდაერთ კანდიდატზე“.

5. 55-ე მუხლის მესამე ნაწილში სიტყვები „ას ოცდახუთის“ შეიცვალოს სიტყვით „ოთხმოცდაერთის“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია

თბილისი. 1991 წლის 8 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის

## კ ა ნ ო ნ ი

### „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ 1990 წლის 18 აგვისტოს კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „არჩევნებში არ მონაწილეობენ ის პირნი, რომლებიც მსახურობენ სხვა ქვეყნის სამხედრო ან გასამხედროებულ შენაერთებში“.

2. მე-10 მუხლის მე-3 ნაწილში სიტყვები „საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიების ხელმძღვანელი პირნი“ შეიცვალოს სიტყვებით „საარჩევნო ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა ხელმძღვანელი პირების უმრავლესობა“.

3. მე-15 მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ბლოკში შემავალი ყველა პარტიის ხელმძღვანელი პირი“ შეიცვალოს სიტყვებით „ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა ხელმძღვანელი პირების უმრავლესობა“.

4. 26-ე მუხლის მე-2 ნაწილში სიტყვები „საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიების ხელმძღვანელ პირებს“ შეიცვალოს სიტყვებით „საარჩევნო ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა ხელმძღვანელი პირების უმრავლესობის“, ხოლო მე-4 ნაწილში სიტყვები „საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიების ხელმძღვანელ პირთა“—სიტყვებით „საარჩევნო ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა ხელმძღვანელი პირების უმრავლესობის“.

5. 36-ე მუხლის მე-7 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პარტიის კანდიდატთა სია დამოწმებული უნდა იყოს პარტიის ხელმძღვანელი პირის, ხოლო საარჩევნო ბლოკის სია—ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა ხელმძღვანელი პირების უმრავლესობის ხელმოწერით სიას უნდა ერთვოდეს ყოველი კანდიდატის თანხმობა მოცემული სიით კენჭისყრის შესახებ“.

6. 37-ე მუხლის მე-2 ნაწილში სიტყვა „პარტიამ“ შემდეგ დაემატოს „ან საარჩევნო ბლოკმა“.

7. 39-ე მუხლის მე-4 ნაწილში სიტყვები „საარჩევნო ბლოკში პარტიათა ხელმძღვანელი პირების“ შეიცვალოს სიტყვებით „საარჩევნო ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა ხელმძღვანელი პირების უმრავლესობის“.

8. მე-40 მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული ყველა პარტიის ხელმძღვანელ პირთა“ შეიცვალოს სიტყვებით „საარჩევნო ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა ხელმძღვანელი პირების უმრავლესობით“.

9. 44-ე მუხლის მე-4 ნაწილში სიტყვები „საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელ პირთა“ შეიცვალოს სიტყვებით „საარჩევნო ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა ხელმძღვანელი პირების უმრავლესობის“.

10. 61-ე მუხლის მე-6 ნაწილში სიტყვები „ბლოკში გაერთიანებული პარტიების უმრავლესობის ხელმძღვანელ პირებმა“ შეიცვალოს სიტყვებით „საარჩევნო ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა ხელმძღვანელი პირების უმრავლესობამ“.

11. ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 8 დეკემბერი.

## სასოფლო წარმოება: პრობლემები, პერსპექტივა

ყველას კარგად მოეხსენება ის სირთულეები, რასაც აწყდებიან სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებული ადამიანები ეკონომიკის ტრადიციული სტრუქტურების რეორგანიზაციის გზაზე. ამ სიძნელეებს გადალახვა უხდება ინგურის აგროსამრეწველო კომბინატის ნ... კოლექტივსაც. რამდენიმე კითხვით მივმართეთ კომბინატის მთავარ ეკონომისტ ბ. სორდიას:

## მთავარი წარმოების მოქნილური სტრუქტურების ძიება

პირველ რიგში გვაინტერესებს ის რეალური შედეგები, რასაც ეკონომიკის ლიბერალიზაციის გზაზე მიაღწიეთ სადღეისოდ.

—მიუხედავად ურთულესი პირობებისა, ინგურის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის კოლექტივმა მიმდინარე სამეურნეო წლის პროგნოზით გათვალისწინებულ დავალებებს თავი გაართვა. უნდა გვეწარმოებინა 3730 ტონა ჩაის ფოთოლი. შევძელით 4056 ტონის ჩაბარება. ალბათ იკითხავთ, როგორ შევძელით ეს? ძირითადი აქცენტი გადატანილ იქნა სასოფლო წარმოების მართვის სტრუქტურების მობილურობის ამაღლებაზე. მოქმედი კომპლექსურ-მექანიზებული ბრიგადების ნაცვლად ფორმირებულ იქნა შედარებით მცირერიცხოვანი იჯარით მომუშავე კომპლექსური რგოლები. ამ რეორგანიზაციით გარკვეული დაინტერესების ბურკეტი გაჩნდა ძირეულ ქვედანაყოფში. ადამიანებმა მეტი ყურადღება დაუთმეს აგროტექნიკური ღონისძიებების დროულად და ხარისხიანად შესრულებას, შრომის დისციპლინას, ურთიერთკონტროლს და ა. შ. ახალ პირობებთან მიმართებით შემუშავებულ იქნა უფრო მორგებული ნორმატივების სისტემა, რამაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად გაზარდა როგორც მექანიზატორის და დამხმარე მუშის შრომის ნაყოფიერება, ისე კომბინატის საერთო ეკონომიკური მაჩვენებელი. მოგების საერთო მოცულობაში ჩაის ხვედრითი წილი 98 პროცენტამდე აღწევს.

მეურნეობამ წელსაც შეძლო თავისი მუშა - მოსამსახურეები ნაწილობრივ მაინც დაეკმაყოფილებინა ადგილობრივი წარმოების რძით. მიუხედავად საკვები რესურსების უკმარისობისა, ფერმის კოლექტივს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შეასრულოს სამეურნეო წლის პროგნოზი. გაისად ფერმის წარმადობის ამაღლების მიზნით გამოინახა ახალი რეზერვები. საკვებ კულტურებს დაეთმობა გასულ წელთან შედარებით ორჯერ მეტი ფართობი, რათა შეივსოს კომბინირებული საკვების ნაკლებობით გამოწვეული დაღარიბებული რაციონი.

როგორ გესახებათ საზოგადოებრივი მეურნეობის ხვალინდელი დღე. რომელი გზა მიგაჩნიათ სასოფლო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ყველაზე ხელსაყრელ საშუალებად?

—დღეს ბევრს ლაპარაკობენ იჯარის სხვადასხვა ფორმების სიკეთეზე. ამ სტრუქტურული სიახლის აპრობირებამ ზოგან გარკვეული შედეგებიც გამოიღო. მაგრამ ამ საკითხისადმი საკუთარი ხედვა გამაჩნია. შედარებით სიცოცხლისუნარიან სტრუქტურად მიმაჩნია თავისუფალი იჯარის ფორმა, რამაც გარდამავალ პერიოდში გარკვეული მოსამზადებელი პირობები უნდა შეგვიქმნას არა რაოდენობრივი, არამედ უპირატესად ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდისათვის. მუშამ უნდა იგრძნოს, რომ მის მიერ შექმნილი პროდუქციის საზღაური მას უცილობლად მიეცემა იჯარულ კოლექტივში დანერგილი ანაზღაურების სისტემის შესაბამისად. მწამს, რომ პერსპექტივაში აღნიშნული ფორმა თავისუფალ ფერმერულ მეურნეობაში გადაიზრდება. ყოველ შემთხვევისთვის არ უნდა დაყოვნდეს დაბალრენტაბელური მიწის ნაკვეთების პრივატიზება.

—მკითხველს ბუნებრივია აინტერესებს რამდენად ახერხებთ ამ ექსტრემალური ვითარების ფონზე მუშა- მოსამსახურეთა სოციალური პირობების მინიმალურ დონეზე შენარჩუნებას?

—გარკვეული დამატებითი ფინანსური რეზერვები გამოინახა შრომის ანაზღაურების სფეროში. აქ ვახერხებთ არამწარმოებლური ხარჯების მაქსიმალურად შემცირებას, ხელფასების ეკონომიას და სხვა. მაგრამ მოგების ზრდის და მის კვალობაზე სოციალური მომენტების დარეგულირების წყაროდ გვესახება სხვადასხვა სახის ანარიცხების სწორად გამოყენების პოლიტიკა. გარკვეული სახსრები მოხმარდა საცხოვრებელი ბინების რემონტის, შიდა გზების კეთილმოწყობის, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარების ღონისძიებებს. ამ მხრივ ჯერ კიდევ არაერთი მოუგვარებელი პრობლემა იჩენს თავს. მაგრამ მთავარი ისაა, რომ გარდამავალი პერიოდისთვის დამახასიათებელ სირთულეებს კოლექტივი გაგებით ეკიდება და ეს იმედებს გვისახავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თვალსაზრისი

# ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა...

როგორც იქნა, ჩავლილია ის ბირქუში დღეები. დაპირისპირების ხანძარი შენელდა. ვნებათა ღელვა შედარებით დაცხრა და ვითარება ნორმალურ კალაპოტს უბრუნდება.

განვლილი დრო გვაძლევს საშუალებას დატრიალებული მოვლენების გამომწვევი მიზეზები გავიაზროთ, მისი მართალზომიერება, თუ აბსურდულობა დავადგინოთ. ჩვენი აზრით სექტემბერ - ოქტომბრის მღელვარებაში სახიფათო სისხლიანი შეხლა-შემოხლის ტრაგიზმთან ერთად ერთგვარი კომიზმიც იკვეთება. მკრეხელობაა იმის დაჩემება, რომ ურთიერთმტრობის ტალღა მხოლოდ ბოროტი განზრახვით, შურით და პირადი სიძულვილით შეპყრობილი პოლიტიკანების ხელით იქნა აგორებული.

ეგრეთწოდებულ „ამბოხებულთა" რიგებში იდგნენ პოლიტიკურად მიამიტი, დილეტანტი ინტელიგენტები, გამოუცდელი ახალგაზრდები, თავისთავად მშვენიერი და ჰუმანური მიზნით ატანილნი, რომელთაც მოეჩვენათ და დღემდე შეიძლება ახეც გონიათ, რომ ეროვნულ ხელისუფლებაში ქედმაღალი გლახაკნი სხედან, რომელთაც არც ჭკუა ყოფნით და არც ღირსება ურჩხულის ტყვეობიდან სამშობლოს დახსნილად. ა, თვითონ რომ იდგნენ რეალური პოლიტიკის სათავესთან, ყველაფერი თავისი რიგით და წესით წარიმართებოდა. ახე ცხადდება მავანთა მოქმედებაში ქართველთათვის კარგად ნაცნობი და ახლობელი დაფნის მაძიებლობის მანია.

ადამიანში ამდაგვარ განწყობილებას აღვივებს ყველასათვის ცნობილი ფსიქოლოგიური სენი ნიჰილიზმი სხვისი უნარ-შესაძლებლობისადმი, რასაც ჩვენებურად შური ეწოდება. მაგრამ თუ ამ ადამიანურ სისუსტეს ისტორიული ანალოგების ჭრილში გავიაზრებთ, ხელში შეგვრჩება ოდინდელი ფორმულა: „უჩემოდ ვით იმღერეთა". ამ მანკმა დააქცია არაერთგზის ჩვენი ქვეყანა, დააყენა სისხლის ტბები. თუ ეს თვითდაჯერებულობა, ეს ნარცისიზმი არ მოვიშალეთ, იგი მომავალშიც ურთულესი პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტის შანსს და გახალებს ცხრა მთას იქით, გადახაკარგავში გადაგვიმალავს.

ხელისუფლებაში ყველაფერი რიგზე არ არის, მმართველობის დონე მოუთმენლად დაქვეითებულია, გვიკიჟინებენ ოპოზიციონერები. ამ განცხადებაში ერთი შეხედვით არაფერია მიუღებელი. მაგრამ ისინი უფრო შორს მიდიან. გულში ბოღმაჩახვეულნი გაიძახიან მთავრობის ნებისმიერი პოლიტიკური სვლის თვითმიზნურ განქიქებაზე. დისკრედიტაციის ეს წინასწარ აკვიატებული ჟინი იმდენად დაუფარავი და ხილულია, რომ მყის ეჭვი გაგიჩვლავს: ამ ადამიანებს რა უფრო აშფოთებთ ათასი ჯურის შეთქმულთა მიერ მამულის მკერდზე მიბჯენილი შხამიანი ისრების სიმრავლე, თუ პატივმოყვარეობის ჭიის მიერ მათ ძარღვებზე წაკიდებული სიძულვილის ალმური? ახეთი შეუღვებელი ავზნიანობისა, თუ ახირებულობის შემყურეს ძალაუნებურად გეუფლება სურვილი კონტრარგუმენტი შეაგებო ოპონენტებს: არა, არც თქვენს რიგებშია ყველაფერი რიგზე, ბატივცემულნო. ზოგი თქვენთაგანის მოქმედება გავს ახალგაზრდა ვერხოვენსკის უცნაურ ჟინიანობას დოსტოევსკის „ეშმაკნიდან", რომელიც „განყენებულად აზროვნებდა, ტვინი მხოლოდ ერთი მიმართულებით ჰქონდა განვითარებული"...

თუ რამე გვჭირდება დღეს ქართველებს, კონსტრუქციული და არა განყენებული დიალოგი. გვეყოს, რაც ყველა დროის და ჯურის ყორღანაშვილებს, ფალავანდიშვილებს, თუ კუპატნელებს სისხლი და ცრემლი მოუტანიათ ჩვენი ხალხისათვის. სხვას ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, თქვენს ახეთ ავზნიანობას და გაჯიუტებას სხვა სარჩულს აძლევს ხალხი: ეგენი საკუთარი ბერხობის წარმოჩენის, პატივმოყვარეობის შეხაფერისი კვარცხლბეკის ძიების ჟინით არიან ატანილნი, ხოლო სამშობლოს ბედი ნაკლებად ადარდებთო.

ვერავინ ვერ დამაჯერებს იმათ მამულიშვილობაში, ვინც იმპერიის ცენტრში მიდის საჩივლელად და კრემლის სატრაპებს შესთხოვს საქართველოს ხსნას. ვერაფრით ვერ ვირწმუნებ იმ ქართველი მწერლების საქციელის მართებულობას, რომლებიც ლიტერატორთა ვენის საერთაშორისო კონფერენციას ემუდარებიან, არიქა საქართველოში ადამიანის უფლებები ირღვევა და ხმა შეგვაწიეთო.

ან რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს, თუ არა ორგულობისა, მიქაძის, ფოფხაძის, თავხელიძის და მათი სულიერი ძმების ავ საქციელს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ მსოფლიო საზოგადოებრიობას დეზინფორმაცია მიაწოდონ საქართველოს შესახებ.

არა, ბატონებო! თქვენ რაღაც სხვა სახმილი გიწვავთ გულ-ღვიძლს. თქვენ რაღაც მნიშვნელოვანი და წმიდათაწმიდა გეცლებათ ხელიდან. განა სატირალი არაა ის, რომ საქართველოს დამქცევლებმა ოთახის ფანიავით შემოგიჩვიათ და თავისუფლებას მოწყურებულ თვისტომზე გესლის სანთხევად შეგაგულიანათ?

ეროვნული თავისუფლების იდეა მრავალ ქარცეცხლში გამოტარებულ ქართულ დროშაზე თვით მარიამ ღვთისმშობლის ხელებითაა ამოქარგული და მას თქვენისთანა ახლომხედველთა სათრევლად არაფრით არ გახდის. ნუ გეშლებათ ამ იდეის სამსახური იმ პიროვნების კერპად დახატვაში, ვინც მამულის კეთილდღეობისათვის მოწამებრივ ცხოვრებას ყრმობის წლებიდან ეწევა. ძლიერ შორიდან წარმომდგარი ქვეცნობიერი იმპულსები და დაუბრუნდით ურთიერთმოთმენისა და ურთიერთპატივის ქრისტიანულ ტრადიციას.

პოეტისა არ იყოს, ჟამი გვიდგას „რაღაც მღვრიე, რაღაც არ აქაური". ჩვენ ჩვენი წილი სამსალა გვასვა სულისშემხუთველმა სისტემამ, რაღაც ღვთაებრივი და მყარი მოარღვია ყოველი ჩვენგანის არსებაში, გვაქცია ყველაფრის მქირდავ სკეპტიკოსებად. მაგრამ ხვალ და ზეგ უცილოდ უკეთესნი უნდა გავხდეთ, უნდა შევიყვაროთ ერთმანეთი, მაცხოვრის წარუვალ ცნებებზე გეზაღებულებმა გულდაჯერებით უნდა ვიაროთ რწმენის მაღალი ტაძრისაკენ.

სამშობლოს დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი გზა მამულის ცის ქვეშ უნდა მოვიძიოთ. უზენაესი მიზნისკენ მხოლოდ ერთობით, ჯანსაღ პაექრობაში გამოკვეთილი პოლიტიკური სიბრძნით უნდა ვიაროთ.

ზ. ცხონდია.

## რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე

# იგრძნობა ძიების განწყობილება

26 ნოემბრის გაზეთ „სვობოდნაია გრუზიაში" დაბეჭდილია მ. ქარდავას კორესპონდენცია სათაურით — „ჯარიმა—პანაცეა როდია", რომელშიც ავტორი აშუქებს საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვის" სადღეისო პრობლემებს.

კორესპონდენციაში ვკითხულობთ:

„საქქაღალდმრეწვის" საწარმოო გაერთიანებაში თურქულმა ხუმმა საცხებით ცივილიზებული ფორმა მიიღო. დადებულ იქნა ორმხრივ ხელსაყრელი ბარტერული კონტრაქტი თურქეთის ფირმა „ხაპილო ტურიზმ გიდთან".

ამ გარიგების თანახმად ქართველი მექაღალდეები ვალდებულებას კისრულობენ თურქეთის მხარეს შესთავაზონ 278 ათასი ამერიკული დოლარის ღირებულების ქაღალდი და ქაღალდის ნაწარმი, ამის სანაცვლოდ პარტნიორი შემოიტანს ათეულობით ტონა ხორცს, მცენარეულ ზეთს, უმაღლესი ხარისხის მაკარონს. აღნიშნული პროდუქტი მიეყიდება გაერთიანების მუშა-მოსამსახურეებს მტკიცე სახელმწიფო ფასებში.

პუბლიკაციის ავტორი სხვა საზრუნავთან ერთად წამოსწევს მაკულატურის პრობლემას. გაერთიანების მთავარი ინჟინრის ვახტანგ ნანავას აზრით „ქაღალდის მეორადი გამოყენების პროცენტი რესპუბლიკაში მანამდეც ძალზე დაბალი—12 პროცენტი იყო, ხოლო დღეს საერთოდ კონტროლს გარეშეა. „საქქაღალდმრეწვის" მიერ „საქმეორეული რესურსების" მიმართ წარდგენილია 750 ათასი მანეთის მაკულატურის მოუწოდებლობის შესახებ სარჩელი. მიმდინარე წელს ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო აიწევს. მაგრამ გაერთიანების მესვეურნი ჯარიმას პანაცეად როდი მიიჩნევენ. და შექმნილ იქნა მაკულატურის შეგროვების მცირე საწარმო, რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებში გახსნეს ფილიალები".

ამ კორესპონდენციით ცხადი ხდება, რომ ნებისმიერი პრობლემა გადაწყვეტას დაექვემდებარება, თუ გამოიჩენენ მონდომებას, გადადგამენ გაბედულ, არასტანდარტულ ნაბიჯებს. სასიამოვნოა, რომ ჩვენი რეგიონის ამ ძველ, ნაცად კოლექტივში ამდაგვარი განწყობილებით იღწვიან.

ჯ. თელია.

# სულსწრაფნი ნუ ვიქნებით

ოპოზიციური ძალების მოთხოვნებს რეალურ შინაარს აცლის ის მომენტი, რომ ბოლომდე არ ითვალისწინებენ დროს, შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას. არა. და არსებული მდგომარეობის კონტექსტში უნდა იქნას გაანალიზებული ყოველი ჩვენი ქმედება, რათა მან დამატებითი გართულებები არ გამოიწვიოს.

ხომ ცნობილია, რომ თვით დასავლეთის ცივილიზებული ქვეყნების ისტორიაში იყო პერიოდები, როცა აქ დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება მეტნაკლებად მკაცრდებოდა შექმნილი საშიშრო, თუ საერთაშორისო ვითარების შესაბამისად. ჩვენი რესპუბლიკა კი ფაქტიურად ომის პირობებში იმყოფება. გარკვეული ფაქტორების წყალობით სახეზეა უმწვავესი დესტაბილიზაცია. ამას ემატება წარსულის უმძიმესი ინერცია. საზოგადოება თანდათან უნდა გამოვიდეს ტოტალიტარული მმართველობითი სტრუქტურებიდან და გადაერთოს დემოკრატიულ ინსტიტუტებში. ამას კი დრო სჭირდება, ღონისძიებათა ეტაპობრივი განხორციელება სჭირდება. ამიტომ ნუ მოვითხოვთ ამ პროცესების ერთბაშად მოგვარებას. რესპუბლიკის ეროვნულ ხელისუფლებას ყველანი ამოვუდგეთ გვერდით და კონსტრუქციული თანამშრომლობით მივაღწიოთ უპირველეს მიზანს — დამოუკიდებლობას. ეს კი ყველაფერს თავის ადგილზე დააყენებს, დაცხრება ვნებათა ღელვა, გაჩნდება იმის შესაძლებლობა, რომ დინჯად და დაკვირვებით ვაშენოთ ახალი, სამართლებრივი სახელმწიფო.

ამიტომ შეკავშირება და კონსოლიდაცია გვმართებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ეროვნული ინტერესები.

ლ. ჯოლოხავა,

## ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პროკურატურის განცხადება (საწარმო—დაწესებულებებსა და კოოპერატივებს)

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 4 ოქტომბრის 769-ე დადგენილების თანახმად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყველა საწარმო დაწესებულებას, ორგანიზაციის საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმის, აგრეთვე უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ყოველთვიური ანარიცხები შეაქვს დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული ნორმატივის მიხედვით. ეს ანარიცხები, როგორც წესი წარმოებს შრომის ანაზღაურების სახსრებიდან (ყველა სახის პრემიისა და ერთდროული დახმარების გამოკლებით). შეიტანება პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) თვითღირებულებაში, საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის კი—ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

დასაქმების ფონდის რეგიონალური ფილიალების მომსახურე შესაბამის რაიონულ დაწესებულებაში გახსნილია საბალანსო ანგარიში № 001700879 „დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში სახსრების შემოსავლობანი".

ანარიცხების ნორმატივი 1991 წლისათვის დადგენილია 3 პროცენტის ოდენობით.

# მხოლოდ ერთობით

ვერა და ვერ განიმუხტა საქართველოში პოლიტიკური ვითარება. გარკვეული პოლიტიკური ძალები ისევ ცდილობენ სოციალურ-ეკონომიკური სიძნელეები თავიანთი ამბიციური მიზნებისათვის გამოიყენონ და გააღვივონ მოსახლეობაში უკმაყოფილება. პირიქით კი უნდა იყოს. ლუსჟირი ათწლეულების მიერ მოტანილ უბედურებებს ერთობლივი ძალით უნდა შევებრძოლოთ. დღეს როგორც არასდროს, გვჭირდება იმ რეალობის ღრმად გაცნობიერება, რომ ასეულობით პოლიტიკური პარტიების და ორგანიზაციების ურთიერთ კინკლაობა და დაპირისპირება კი არა, ერის კონსოლიდაციაა საჭირო. სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე ვერ წვდება ყოველივე ამას და იაფფასიან, დემაგოგიურ მოწოდებებს აყვება ხოლმე.

ავიღოთ ჩვენი რესპუბლიკის ყველაზე ცეცხლოვანი წერტილი—სამაჩაბლო, აქ ფაქტიურად მიმდინარეობს ომი. იმპერიული ცენტრი მზაკვრულად ანხორციელებს სისხლისღვრის ესკალაციის გეგმას მათი მიზანია შეაშინონ, აიძულონ საქართველოს ხელისუფლება შეცვალოს დამოკიდებულება საკავშირო ხელშეკრულების მიმართ, დათანხმდეს კაპიტულანტურ გარიგებაზე ახალი, მოდერნიზებული იმპერიის შეკოწიწების თაობაზე. მაგრამ ხალხის ნება მტკიცე და ურყევია. მან ერთხელ და სამუდამოდ არჩია სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზა და მას არამც და არამც არ გადაუხვევს.

ამიტომ მოვუწოდებ თანამემამულეებს: შევეშვათ ერთმანეთთან ქიშპობას და გავერთიანდეთ. სამაჩაბლო შველას ითხოვს, მივხედოთ ჩვენს ამ ძირძველ, ნატიფ კუთხეს.

ჯ. ფარცვანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრიმინალური ქრონიკა

# შინაგან საქმეთა განყოფილებიდან გვატყობინებენ

როგორც მთლიანად რესპუბლიკაში, ასევე ზუგდიდში კრიმინოგენური სიტუაცია მეტად დაძაბულია. ამა წლის 1-28 ნოემბერს ზუგდიდში რეგისტრირებულია 56 სისხლის სამართლის დანაშაული. კერძოდ: სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების—1, მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის—19, ავტოსაგზაო შემთხვევის—1, მოქალაქეებზე ყაჩაღური თავდასხმის—5, ხულიგნობის—1, სახელმწიფო ქონების ქურდობის —11, ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენა-მოხმარების—4, ავტომანქანის გატაცების—2, სხეულის მძიმე დაზიანების—1, მოქალაქეთა ქონების განადგურების —1, მოქალაქეთა ძარცვის—4, ვაჭრობის წესების დარღვევის—4 და სხვა დანაშაულებრივი ფაქტები.

ამა წლის 1 ნოემბერს სოფელ კახათის მკვიდრმა თენგიზ ვენოს ძე ბერტაიამ საკუთარი ავტომანქანის მართვისას დაარღვია გზებზე მოძრაობის წესები და სოფელ ინგირის ტერიტორიაზე დაეჯახა ფეხით მოსიარულე ზ. წულაიას, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა.

8 ნოემბერს თავისუფლების ქუჩა №8-ში მცხოვრებ რუსუდან შალვას ასულ ჟორდანიას საცხოვრებელი სახლიდან ამოღებულ იქნა ნარკოტიკული ნივთიერება ყაყაჩოს ფხვნილი.

11 ნოემბერს, ღამის საათებში გაქურდეს ყუფუნიას ქუჩაზე მდებარე ზუგდიდვაჭრობის სამმართველოს №93 შერეული საქონლის მაღაზია. ოპერატიული ღონისძიებების გატარების შედეგად იმავე ღამეს, ცხელ კვალზე დაკავებულ იქნენ ბოროტმოქმედნი: სოფელ რუხში მცხოვრები გალერი გალიკოს ძე კვიტაიანი და კობა ნოდარის ძე კვარაცხელია. ნაქურდალი თანხა მთლიანად ამოღებულ იქნა.

11 ნოემბერს სავაჭრო ცენტრ „თუთარჩელასთან" ავტომანქანის გატაცების მომენტში დააკავეს ქალაქ ჯვარში მცხოვრები ჯონი როინის ძე ხამუშია და ჯვარზენელი მამუკა დემურის ძე ბერია.

11 ნოემბერს ზუგდიდვაჭრობის სამმართველოს №45 მაღაზიის გამყიდველმა ჯონდი დომენტის ძე გელოვანმა უხეშად დაარღვია ვაჭრობის წესები.

ზუგდიდის ბაზრის ტერიტორიაზე დააკავეს ვინმე ნ. გაჯიევი, რომელმაც მოქალაქეს მოპარა 65 მანეთი.

დაკავებულ იქნა გალის რაიონის სოფელ დიხაზურგაში მცხოვრები გოჩა შოთას ძე კაჭარავა, რომელმაც სოფელ რუხის ტერიტორიაზე სატვირთო მანქანიდან მოიპარა მძღოლის პირადი ნივთები.

დააკავეს ზუგდიდელი დავით არონის ძე ბერიშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა ნარკოტიკული ნივთიერება—ყაყაჩოს ფხვნილი.

სოფელ ურთაში მცხოვრებმა კობა ბოჩოს ძე ბოხუამ და ჯანიერ ომეხის ძე დავარგულიამ სოფელ ცაიშში გაქურდეს ნ. ფუტელავას საცხოვრებელი სახლი, ისინი ცხელ კვალზე დააკავეს.

ზუგდიდვაჭრობის სამმართველოს №45 მაღაზიის გამყიდველს იანელა ინდიკოს ასულ მანიას აღმოაჩნდა 2400 მანეთის დანაკლისი და 2640 მანეთის გადამალული საქონელი. ამავე სისტემის მაღაზიის გამყიდველს არლევან სიმონის ძე კვარაცხელიას გამოუვლინდა 2574 მანეთის დანაკლისი. სოფელ ახალაბასთუმნის მაღაზიის გამგე-გამყიდველს ელგუჯა ინდიკოს ძე გოგიას აღმოაჩნდა 4386 მანეთის დანაკლისი.

ქალაქის ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ბოროტი ხულიგნობა ჩაიდინა ჩიქუს ქუჩაზე მცხოვრებმა ზურაბ კუკურის ძე ურიდიამ, რის შემდეგ მიიმალა.

სოფელ ჭითაწყარის ტერიტორიაზე მდებარე კომერციულ მაღაზია „მარებიდან" ამოღებულ იქნა 16505 მანეთის სხვადასხვა სახის ამერიკული წარმოების გაუფორმებელი სიგარეტები და სამრეწველო საქონელი.

რუხის ტერიტორიაზე დააკავეს ქ. ზუგდიდის რუსთაველის ქუჩა №92-ში მცხოვრები ანთიმოზ კონსტანტინეს ძე ბებია, რომელსაც დაკავებისას აღმოაჩნდა ნარკოტიკული ნივთიერება — ყაყაჩოს ფხვნილი. ასევე ქალაქის ტერიტორიაზე დაკავებულ იქნა ჭყონდიდელის ქუჩა №88-ში მცხოვრები ვეფხვია მარლონის ძე ყურაშვილი, რომელსაც დაკავებისას აღმოაჩნდა ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა".

25 ნოემბერს, დღისით, სოფელ ჭითაწყარის ტერიტორიიდან დაუდგენელი პირების მიერ გატაცებულ იქნა „ბაზ"-ის მარკის ავტომანქანა, რომელიც ეკუთვნის ქალაქ თბილისში მცხოვრებ ა. ბერიძეს. ავტომანქანაში იყო 25000 მანეთის ღირებულების ნივთები და 100 ამერიკული დოლარი. ცხელ კვალზე გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად იმავე დღეს დააკავეს ჭითაწყარის მკვიდრი, ადრე ნასამართლევი ელგუჯა ნოდარის ძე ქირია, რომლისგანაც ამოღებულ იქნა გატაცებული ავტომანქანა ნივთებთან ერთად.

ავტოსადგურის ტერიტორიაზე არასრულწლოვანმა ჯონი შერმადინის ძე ქობალიამ, მცხოვრებმა სოფელ კახათში, მოქალაქეს ჯიბიდან ამოაცალა საფულე, რომელშიც იდო 870 მანეთი.

სოფელ ცაცხვის ტერიტორიაზე დაკავებულ იქნა ქ. ზუგდიდის პრავდის ქუჩა №101-ში მცხოვრები არასრულწლოვანი ავთო გუჯას ძე ფუფია, რომელმაც მოქალაქე ა. ალექსანდროვს ავტომანქანიდან მოპარა იმპორტული წარმოების ქურთუკი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ დანაშაულებრივ ფაქტებზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

# მეტ ზრუნვას საჭიროებს

მეცხოველეობის განვითარება და მისი პროდუქტიულობის ამაღლების საკითხი დიდ საპასუხისმგებლო ამოცანებთან არის დაკავშირებული. სოფლის მეურნეობის ეს წამყვანი დარგი მოითხოვს არამარტო რაიონში არსებული მდგომარეობის გაანალიზებას, არამედ წარსულის მოკლე ისტორიულ ექსკურსსაც.

ადრე ჩვენი საუკუნის დასაწყისში მეცხოველეობის განვითარების ბედი მიწის მესაკუთრე ინდივიდუალურ პირებზე იყო დამოკიდებული. ის, ვინც მიწის სოლიდურ ფართობს ფლობდა, მეტი შესაძლებლობა ჰქონდა განუსაზღვრელი რაოდენობით ყოლოდა პირუტყვი, ეწარმოებინა ხორცი, რძე და რძის პროდუქტები მცირე დანახარჯებით.

ასეთი ოჯახები ძირითადად მეცხოველეობიდან მიღებულ მატერიალურ შემოსავალზე იყვნენ დამოკიდებულნი, ზუგდიდის რაიონში ცოტა როდი იყვნენ ოჯახები, რომლებიც მისდევდნენ მეჯოგეობას. ისინი 100-დან 200-მდე და კიდევ მეტ მსხვილფეხა საქონელს ფლობდნენ. თხებსა და ღორებს ხომ თვლა არ ჰქონდა. ისტორიამ შემოგვინახა იმათი გვარებიც, რომლებიც მაღალმთიანი რაიონების სოფლებიდან ბარად ჩამოვიდნენ და ერგეტის ტერიტორიაზე დასახლდნენ იმისათვის, რომ პირუტყვის მოშენება-მომრავლებისათვის კოლხეთის ზონაში ყველაზე ხელსაყრელი პირობები იყო (გვარებს შეგნებულად არ ვასახელებთ, რადგან მათი შთამომავალნი ბევრი დღესაც ცოცხალია და შესაძლოა შეურაცხყოფად მიიღონ გაგვინაწყენდნენ). არც ერთი მათგანი სპეციალობით ზოოტექნიკოსი, ვეტერინარი და ეკონომისტი არ ყოფილა, მაგრამ ყველა მათგანმა შესანიშნავად იცოდა, რომ პირუტყვის მოშენება-მომრავლებისათვის მთავარი იყო ნაკვები, რომელიც უხვად შეეძლო მოეპოვებინა მეჯოგეს ერგეტის ტერიტორიაზე. გარდა ზამთრის სუსხიანი დღეებისა აქაურ მკვიდრთ პირუტყვი მინდვრად წყავდა და თუ ღამით სადგომში ვერ დააბინავებდა, იმის შიში სულაც არ ჰქონდა, რომ ვინმე მოიპარავდა, ერთად-ერთი საშიშროება დამშეული მგლების ხროვა იყო. დღეს კი საკმარისია ძროხა იქნება თუ კამეჩი ერთი ღამით დაგრჩეს გარეთ და მის ასავალ-დასავალს პატრონი ვერავზით ვერ მიაგნებს. დამშეული მგლების ხროვის საშიშროება ტყე-ბუჩქნარის გაკაფვამ დღის წესრიგიდან მოხსნა, სამაგიეროდ მომრავლდნენ მსხვილფეხა საქონლის ქურდები, რომელთაც მუდამ სხვათა ნაოფლარზე უჭირავთ თვალი.

კოლხეთის ეს ზონა დღესაც იზიდავს იმ საზოგადოებრივ მეურნეობებს, რომლებიც მეცხოველეობის განვითარებას მისდევენ, საჭიროა იგი უფრო გონივრულად, საზრიანად, დანიშნულებისამებრ იქნას გამოყენებული. მისი სარგებლობის უფლება მხოლოდ იმათ უნდა მივცეთ, ვინც მეცხოველეობის შემდგომი განვითარებით იქნება დაინტერესებული.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მეცხოველეობა არ იყო წამგებიანი დარგი. იგი ამართლებდა როგორც სახელმწიფოებრივ დანიშნულებას, ასევე აკმაყოფილებდა ხალხის მოთხოვნილებასაც. მაგრამ როცა ყურადღების ცენტრი მრავალწლიანი სუბტროპიკული კულტურების (ჩაი, ციტრუსი, ტუნგი, ეთერზეთოვანი კულტურები) გაშენებისათვის იქნა გადატანილი, ამ ღონისძიებამ უზარმაზარი მიწის ფართობი მოითხოვა. ბუნებრივი საძოვრები კატასტროფულად შემცირდა. მეორე და მთავარი დაბრკოლება ის გახლდათ, რომ კოლექტიური მეურნეობების წესდების მიხედვით მოსახლეობას მაქსიმალურად შეუმცირდა მიწის ფართობი, კერძო სექტორს დაუწესდა პირუტყვის სულადობის მინიმალური რაოდენობა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ კოლხეთის ზონის ტერიტორიის გარკვეული ნაწილის მელიორირების შემდეგ აქ გაშენებულ იქნა ჩაის კულტურა, შემცირდა საძოვრები.

ასეთი ღონისძიებებიდან გამომდინარე მეცხოველეობის მდგომარეობა საზოგადოებრივსა და კერძო სექტორში სავალალო გახდა. მკვეთრად შემცირდა პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა. კოლმეურნეობებიდან და მეურნეობებიდან ახლა იშვიათად მოდის საკოლმეურნეო ბაზარში მეცხოველეობის პროდუქტები სარეალიზაციოდ. ამას მხოლოდ მცირე ფართობით სარგებლობის მიუხედავად მხოლოდ კერძო სექტორი აწარმოებს და ამიტომაც გვაქვს მეცხოველეობის პროდუქტების ასეთი მწვავე დეფიციტი.

სოფლის მეურნეობის ამ წამყვანი დარგის მეცხოველეობის დაქვეითებას ავადმოსაგონარი ხრუშჩოვის პერიოდმაც შეუწყო ხელი. ქვეყნის წინამძღოლმა ნიკიტა ხრუშჩოვმა პირად მეურნეობაზე და განსაკუთრებით მეცხოველეობაზე აალებინა ხელი მოსახლეობას, აქამდა პირუტყვის მოვლა-პატრონობაზე, საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთზე [illegible] [illegible]რის ხარჯვით, საზოგადოებრივ მეურნეობაში მონაწილეობის მისაღებად ცოტა დრო გრჩებათო. რა აზრი აქვს კერძო სექტორში პირუტყვის მოვლა-პატრონობაზე დროის უქმად დაკარგვას, საკუთარ ბაღ-ბოსტანში მიწის ჩიჩქნას, როცა საზოგადოებრივ მეურნეობებში ჩვენ ისე დავაყენებთ საქმეს, რომ მოსახლეობის მოთხოვნილებას მთლიანად დავაკმაყოფილებთ მეცხოველეობის პროდუქტებით და თანაც ყველაფერი კერძო სექტორზე უფრო იაფი დაგიჯდებათო. მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ეჭვის თვალით შეხედა ქვეყნის წინამძღოლის, „გონიერი მეურნის" დაპირებას, მაგრამ როცა დიდმა ნაწილმა მუსრი გაავლო მის განკარგულებაში არსებულ პირუტყვს, უმცირესობამაც მიბაძა უმრავლესობის მაგალითს. ასე აიღეს ადამიანებმა შვილივით ნალოლიავებ პირუტყვზე ხელი, ადამიანები შრომას გადაეჩვივნენ, დაიკარგა პირუტყვის მოვლის მდიდარი ტრადიცია, რომლის აღდგენა არც ისე იოლი გამოდგა, მეცხოველეობის განვითარებისათვის გათვალისწინებული ფართობი სხვა დანიშნულებით იქნა გამოყენებული.

ამ დარგის განვითარებას არც საქართველოს მთავრობის მიერ 1972 წელს მიღებულმა გახმაურებულმა დადგენილებამ— „საქართველოს შეუძლია და უნდა გახდეს მეცხოველეობის განვითარებული რესპუბლიკა"— უშველა. ეს დადგენილება სათავეშივე იყო მცდარი. იგი არ ითვალისწინებდა იმას, რომ საქართველო მცირემიწიანი რესპუბლიკა იყო.

ამასთან საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა გარდა მცირე გამონაკლისა საგრძნობლად შეანელეს მეცხოველეობისადმი ყურადღება. ვერ უზრუნველყოფენ პირუტყვს ადგილობრივი წარმოების იაფი და ჭრიანი საკვებით. ეს კი საბოლოო ჯამში გამოიწვევს პროდუქტიულობის დაქვეითებას, პირუტყვის დაცემას, დაბლა დასწევს საზოგადოებრივი მეურნეობის ეკონომიკას. ასეთ დროს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელები, სპეციალისტები სხვისი ხელის შემყურეთ როლში კი არ უნდა გამოვიდნენ, არამედ წამოაყენონ გარკვეული წინადადებები.

ისმება კითხვა, სად არის გამოსავალი?

ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია ძირითადი კურსი მეცხოველეობის ფერმების პრივატიზაციისაკენ ავიღოთ. პირუტყვი კერძო მფლობელის ხელში უნდა გადავიდეს. იგი უნდა მივყიდოთ იმათ, ვისაც აქვს მესაქონლეობისადმი ინტერესი, შეუძლიათ მისი მოვლა-პატრონობა.

თუ მოსახლეობას ხელს შევუწყობთ, მივცემთ მათ პირუტყვის შესაძენად სესხს და გადავცემთ მიწას მათი მოთხოვნილების მიხედვით, ასეთი ღონისძიებების გატარებით მეცხოველეობა განვითარდება და გაცილებით მეტ პროდუქციას მივიღებთ. ამით არც სახელმწიფო იზარალებს და არც მოსახლეობა.

რაიონის ზოოვეტერინალური მომსახურებაც რადიკალურ გარდაქმნას მოითხოვს, ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ინდივიდუალურ მეურნეობებში ვეტერინალური სამკურნალო პროფილაქტიკური ღონისძიებათა ჩატარება დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რაც დაძაბულ შრომას და პროფესიული ცოდნის გაღრმავებას მოითხოვს.

## ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურასთან არსებული სამხედრო სექტორის განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის კანონის თანახმად თავდაცვის სამინისტროს შექმნასთან დაკავშირებით ხაწყის ეტაპზე ჩამოყალიბდება უმცროს მეთაურთა მოსამზადებელი სასწავლო ცენტრი. სასწავლო ცენტრის ოფიცრების, ზემდეგების და სერჟანტების თანამდებობების ხარისხიანად დასაკომპლექტებლად საჭიროა შერჩეულ იქნენ მორალურად მტკიცე, ფიზიკურად ჯანმრთელი და სამხედრო საქმის მცოდნე სპეციალისტები.

ოფიცრები გაწვეული იქნებიან 2 წლის ვადით, ხოლო მსურველებს ვადის დამთავრების შემდეგ შეუძლიათ გააგრძელონ სამხედრო სამსახური. ოცეულის მეთაურის თანამდებობრივი განაკვეთი განისაზღვრება 770 მანეთის ოდენობით, ასეულის მეთაურის 800 მანეთით და ა. შ. გარდა თანამდებობრივი განაკვეთებისა, მათ ეძლევათ წოდების ხელფასი: ლეიტენანტი—220 მან. კაპიტანი 250 მან და ა. შ. მათ, ვისაც გავლილი აქვს ნამდვილი სამსახური ოფიცრის თანამდებობაზე დამატებით მიეცემათ პროცენტული დანამატი.

სერჟანტები გაწვეულ იქნებიან 6 თვის ვადით სასწავლო შეკრების სახით. ისინი იქნებიან სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე, მიიღებენ ყოველთვიურ ხელფასს 500 მანეთს, შეუნარჩუნდებათ ყოფილ სამსახურში თავის ადგილზე საშუალო თვიური ხელფასი, ხოლო დროებით უმუშევრებს მიეცემათ კომპენსაცია თვეში 100 მანეთის ოდენობით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურასთან არსებულ სამხედრო სექტორს შემდეგი მისამართით: ქ. ზუგდიდი, მ. კოსტავას №112.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურასთან არსებული სამხედრო სექტორის გამგე ტ. გულუა.

## ყველა ასე რომ გაისარჯოს...

ქალაქის პირობებში ძროხისა თუ ღორის ყოლა რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ გული თუ გულობს— ამ საქმესაც თავს გაართმევს გამრჯე მეურნე. ამის მაგალითად გამოდგება მეღორეობის მინიფერმა, რომელიც საკუთარ ოჯახში აქვს მოწყობილი ჩვენს თანაქალაქელს ჟორა ლომაიას. ჟორა პენსიონერია, ჩინებული ზეინკალ-სანტექნიკოსი, ქალაქის კომუნალურ სამსახურს ბევრი არა ჰყავს მისნაირი ხელგაწაფული მუშაკი...

ოჯახში ორმოცამდე სულ ღორს უვლიან. მათ გამოსაკვებად საზკვების ობიექტებიდან მოაქვთ ნარჩენები; დიდი, შრომატევადი საქმეა, მაგრამ ქვეყნისთვის სასარგებლო და გამოსადეგი. თავად განსაჯეთ: წლეულს უკვე 800 კილოგრამამდე ღორის ხორცი ჩააბარა ლომაიების ოჯახმა სახელმწიფოს. წლის ბოლომდე კიდევ რამდენიმე ასეულ კილოგრამს ჩააბარებენ. ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველა შრომით დამაშვრალ კაცს. ყეფითა და ყივილით სოფელი ვერ აშენდება... როგორც არასდროს, ახლა სჭირდება, სწორედ ახლა სჭირდება საქართველოს „შრომის კაცები, ოფლის კაცები“.

ჯ. ჯაბადარი.

რედაქტორი
აკ. მანტურია.

## საქართველოს რესპუბლიკის დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში სავალდებულო მიზნობრივი ანარიცხების [illegible]ლების შესახებ

დასაქმების შესახებ „საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონის და „დასაქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 25 ივლისის დადგენილების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას (შემდგომში საწარმო), საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმის, აგრეთვე უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ყოველთვიური სავალდებულო ანარიცხები შეაქვს დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში (შემდგომში „დასაქმების ფონდი“) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით. ეს ანარიცხები, როგორც წესი, წარმოებს შრომის ანაზღაურების სახსრებიდან (ყველა სახის პრემიისა და ერთდროული დახმარების გამოკლებით) შენატანი პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) თვითღირებულებაში, საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის კი ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი სახსრების ხარჯზე. ანარიცხების ნორმატივი 1991 წლისათვის დადგენილია 3 პროცენტის ოდენობით.

საწარმოები ვალდებულნი არიან შენატანები გადარიცხონ თვეში ერთხელ იმ ვადებში, რომლებიც დადგენილია თვის მეორე ნახევრის ხელფასის გასაცემად, მომსახურე ბანკებში თვის მეორე ნახევრის ხელფასის გაცემაზე დოკუმენტების წარდგენასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი, სპეციალიზებული ბანკები და ამასთანავე ზუგდიდის რეგიონალური თუ ადგილობრივი ფილიალები საწარმოებზე შრომის ანაზღაურების სახსრების გაცემისას, ანალოგიურად საშემოსავლო გადასახადისა, თვალყურს ადევნებენ დასაქმების ფონდში ანარიცხების სპეციალურ ანგარიშზე ჩარიცხვას. (ზუგდიდის აგროწრეწვბანკში გახსნილია სპეცანგარიში №70045) „მრეწვმშენბანკში“ №70010 და „ბინსოცბანკში“ №70039. პირველი ივლისიდან 4 თვის თანხა (9 პროცენტი) ჩაირიცხება ერთდროულად, დანარჩენი შემდგომში ყოველთვიურად დებულებით გათვალისწინებულ ვადებში.

დასაქმების რესპუბლიკურ ფონდში სავალდებულო მიზნობრივი ანარიცხების შენახვისა და აღრიცხვისათვის საქართველოს ხოციალურ განვითარების სააქციო— კომერციულ ბანკში დასაქმების ფონდის რეგიონალური ფილიალების მომსახურე შესაბამის რაიონულ საბანკო დაწესებულებებში იხსნება საბალანსო ანგარიში №001700379—„დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში სახსრების შემოსულობანი“.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ყველა საწარმო ვალდებულია ჩარიცხოს და გადაიხადოს დასაქმების ფონდში:

—ანარიცხები შრომის ანაზღაურების სახსრებიდან ნორმატივის მიხედვით;

დადგენილ ვადებში ანარიცხების გადაუხდელობისათვის დარიცხული საურავები ყოველი გადაცილებული დღისათვის 0,5 პროცენტის ოდენობით.

გადამხდელები ვალდებულნი არიან ბანკის დაწესებულებაში წარსადგენი საგადასახადო დავალებები თანხების გადარიცხვის შესახებ სრულად გამოწერონ მათ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ოდენობის მიუხედავად.

დამატებითი ცნობებისათვის და ინფორმაციისათვის გთხოვთ მიმართოთ ზუგდიდის შრომის რეგიონალურ ბირჟას შემდეგი მისამართით: ქ. ზუგდიდი, ზ. გამსახურდიას ქ. 14. (ყოფილი ლენინის ქუჩა) ტელ. №9—41—81.

---

შვილი ბიძინა, რძალი მედეა, შვილიშვილები: ზაზა, თამრიკო, დები თამარა, ვენერა. კუკუშა, მაზლი კოლია, რძალი ნელი, მული ქუჩუჩი მარღია, სიძე კამათელი თორია, დისშვილები, ძმისშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**მანია (ცოცო) გრიგოლის ასულ ხაბურზანია-მარღიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12. 13 დეკემბერს. გამოსვენება 14 დეკემბერს ჯანაშიას ქ. 10 (ა), დაკრძალვა ს. ანაკლიაში.

---

შვილები: ნუნუ. გივი, კოტე. რუბენი ახალაიები, რძლები: ეთერი. იზო. ნინო ახალაიები, ლამარა კიკინაძე, ძმისშვილები: მადიცა, ნათელა, ციალა. ნექტარი, პალიკო ახალაიები, დისშვილები: ლინა. ნუცა, სერაპიონ ბიგვავები. ლოლია, ლუნა. აფრიკო. [illegible]. ნინა, ალიკო ლოგუები. სიძეები: კაკო ეხვაია. ბიჭიკო ნავეიშვილი, მეგონა ბერაია, ოთარი ცაავა, ლადიკო აბსანძე, ცოლისძმისშვილები: შურა. დურუ, ჟორა კალანდიები, ბიძაშვილები მახაზი, ს. ვ[illegible]ერიანი, ვარლამ ახალაიები, მინანდორა, არჩილი ჭაავები, დეიდაშვილები: ნორა, ბოჩია ბიგვათელიები, ლინა, თადოზი ღარასელიები, შვილიშვილები: მიმოზა, ზური, მაია. მარინა, ირმა, კახა, ინგა, ეკა. თეა. ბაჩა ახალაიები. გოჩა ხვაია, შვილთაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ბაგრატი (ბაგი) ალექსის ძე ახალაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11, 12. 13 დეკემბერს. დაკრძალვა 14 დეკემბერს სოფ. განარჯიის მუხურში.

---

მეუღლე ნათელა, შვილები: მურმანი, ჯამბული. აული. ლეილა. დები: დინა. ბადო. ვალია. კიფალი. ძმები: ნაპო. ორლი. გიგლა თაკალანძეები, რძლები: მაია. მიმოზა. მერი. გულნაზი. სიძე დათო ჯოლოგუა. შვილიშვილები: ნინო. პაატა, მანუჩარი, ზვიადი. ზაზა. ბაჩანა. დიმა, ლალი, იკა, კობა, მონიკა.. მზახლები კაკო ბოჯგუა, ბოჩო ჭარდავა, ძმისშვილები, დისშვილები მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**შალვა (შარაში) ძიკვალის ძე თაკალანძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10 დეკემბერს შამგონაში.

---

შემნახველი ბანკის ზუგდიდის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან

**აკაკი ონისიმეს ძე სიჭინავას**

გარდაცვალებას.

---

განმუხურის საშუალო სკოლის პედკოლექტივი თანაუგრძნობს მაგული პირანიძ ს დედის გარდაცვალების გამო.

---

სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის ზუგდიდის ზონის კოლექტივი იუწყება

**ლუკონი პეტრეს ძე კვარაცხელიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები: მზია, ინოლა, ხუნტული, ლეომარი, ზემფირა ქვარაიები, და პისტი. რძლები: ჟენია როგავა, მანია, ტატიანა ცირდავები, სიძეები აბესალომ ჩილაჩავა, ანზორ კოხია. რამაზ ქობალია, კაცინა ბარქაია, შვილიშვილები: [illegible], რაულ ასათიანები, ელისო, ინგა. ედიშერ, ლადო კოხიები, მედეა, მაია ჩილაჩავები, ნათია, ოათა ბარქაიები, ლიკა ქობალია, შვილთაშვილები: ანნა, დემეტრე, ძმისშვილები: გურამ, ეთერ, გულნარა, აბესალომ, გუგული, ლამარა როგავები, დისშვილი ნუგზარ აბსავა, მაზლიშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**მარგო პახვალას ასულ როგავა-ქვარაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13 დეკემბერს. დაკრძალვა 14 დეკემბერს 16 საათზე. გამოსვენება სოფ. ჭითაწყარიდან (რუსთაველის ქ. 118).

---

შვილი ნატო, შვილიშვილები: დაითი, თამარი. გია. სიძე ემზარ აბულაძე. ძმისშვილები: მერი. ნაილი, ლივილა, მადონა, ემზარი, გია. მერაბი. ვალოდია. რძლები: ძაბული. მარუსია. მზახლები ელიოშა. ვალია. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან

**ლუბა ელიზბარის ასულ ჭალაღონია - ფოჩხუას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10 დეკემბერს. გამოსვენება სოხუმი, კალინინის ქ. 48.

---

მეუღლე ლენა, შვილები: რევაზი, ქეთევანი. მალხაზი, და გული. რძლები ჯულიეტა. მერი, ლამარა, სიძეები კარლო ქორთუშვილი, ნოდარ ქირია, შვილიშვილები: დავითი, ელენე. გიორგი. ძმისშვილები: ვიდიერი, გონა, ნელი. თამილა, დისშვილები: თემური, თენგიზი, ჯამბულ ქირიები, ცოლისდა ბაბუცა, ცოლისძმები: არჩილი, არველოდი გაბისონიები, მზახლები: ვერა, იაშა კვარაცხელიები. ვენერა, გვანჯი ქორთუშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ვალერიან (ლუდუკი) ამბაკოს ძე გოროზიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12, 13 დეკემბერს. დაკრძალვა 14 დეკემბერს. გამოსვენება მარცხენა სანაპიროს ქ. 29.

---

შვილი ემა ხუბუა, სიძე ნუგზარ კალანდია შვილებით მათე და სალომეთი იუწყებიან

**ბონდო (ჟილინი) კონდრას ძე ხუბუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მელიკო და დათო ჩახაიები შვილებით თენგიზი, კახა და ნიკოთი იუწყებიან

**ჩიტო და იმედი გარგულიების**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულთა ოჯახს.

---

დედა თამარა ტაბალუა, მეუღლე შურა (ვეშურა) ლემონჯარია, შვილები: ზურაბი. როზა, და ეთერი. ძმები: ღუღუნი, ლევანი. ოთარი. გურია, სოსო ტაბალუები, ბიძები: ილია ტაბალუა, გიორგი ქირია, რძლები: აზა, ნელი. სულიკო, ირინე, ცატუ, ლუტუშა, მანანა, სიძეები: ელიოშა ჩხაპელია, ვახტანგი შედანია, შვილიშვილები: ვერიკო. ელიკო, თამრიკო ტაბალუები, მაია. ლანა. კიაზო, იაგო, დიაგო შედანიები, ცოლისძმები: სარდიონი, ლუდა, ცოლისდები: გოგუცა, ჭუტა. ქორდიკო ლემონჯარიები, ძმისშვილები. დისშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვაჟა ანდრონ ძე ტაბალუა.**

დასაფლავება 14 დეკემბერს სოფელ კახათში.

---

განმუხურის საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი იუწყება

**ვალოდია ივანეს ძე ახალაიას**

გარდაცვალებას.

---

დედა დარეჯანი, მამა ჯუმბერი, დები: ნათია. ნანა, ხატია. ძმა ჯეირანი. ბ[illegible]ბიები: მედიკო. მარგო, ცურუ. ბაბუები: ამბაკო ჯინჯოლავა, დურუ გედენიძე. დეიდები: ლარისა. ნონა გედენიძეები. ბიძები: ვალერი. ოთარი. თენგიზი. მზევარი. ელდარი. ელგუჯა ჯინჯოლავები, ომეხი გედენიძე. თემური მეგრელიშვილი, ალექსი ჩიქოვანი. ბიცოლები: ლალი, ელიზა. მანანა. დავარი. ირმა. დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**გოჩა ჯუმბერის ძე ჯინჯოლავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12, 13 დეკემბერს. დაკრძალვა 14 დეკემბერს სოფ. ჭკადუაშში.

---

ზუგდიდის საწარმოო ბიოლოგიური ლაბორატორიის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება

**აზა შალვას ასულ გახარია-შამუგიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ბაქტერი, შვილები: კოტე. ლამარა. ნელი, მარგო პერტაიები. შვილიშვილები გრიგოლი. ლელი. ნონა პერტაიები. ირმა. თამარი. შორენა გამსახურდიები. დავითი. რუსუდან ესაკიები. თეონა. დარეჯან. სალომე ბუკიები. რძალი ცისანა ლომაია. სიძეები: მეგონა გამსახურდია. თარაშ ესაკია. რევაზ ბუკია. დისშვილი ვენერა კოზუა. ძმისშვილები: გურამი. მიმოზა. რუსიკო ჭურღულიები. მზახლები თათუშა ესაკია. ლენა ჩილაჩავა. მაზლიშვილი პატიკო პერტაია ოჯახით. ბიძაშვილები, მულიშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ლიდა კიმოთეს ასულ ჭურღულია-პერტაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13, 14 დეკემბერს. გამოსვენება 15 დეკემბერს 4 საათზე, ქ. ზუგდიდი, კიროვის ქ. 112-დან, დაკრძალვა ზემო კახათის სასაფლაოზე.

---

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56 ტელეფონები: რედაქტორის 2 21 80, რედაქტორის მოადგილის 2 23 62. პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78 მშრომელთა წერილების 2 25 12 რადიო[illegible] 17.00.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ. №56, ზ-28 07, ტირაჟი 5000 შეკ. №5157